



ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება №20/64

2017 წლის 25 აგვისტო

ქალაქი ფოთი

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ შესაბამისად, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წინასაარჩევნო კამპანიის (აგიტაციის) ჩატარებისათვის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 45-ე მუხლის მე-6, მე-8 და მე-9 ნაწილების და „მუნიციპალიტეტის ორგანოების არჩევნების დანიშვნის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2017 წლის 22 აგვისტოს №22/08/01 განკარგულების შესაბამისად და თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისათვის უწყებათაშორისი კომისიის რეკომენდაციების გათვალისწინებით (17/07/2017), 2017 წლის 21 ოქტომბრის მუნიციპალიტეტის ორგანოების მორიგი არჩევნების გამჭვირვალე და სამართლიან გარემოში ჩატარების მიზნით:

1. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიამ წინასაარჩევნო პერიოდში ხელი შეუწყოს საარჩევნო სუბიექტებს ამომრჩევლებთან შეხვედრებისა და კრებების, საჯარო დებატებისა და დისკუსიების, შეკრებების და მანიფესტაციების ორგანიზებასა და ჩატარებაში; დაიცვას მათი უსაფრთხოება სამართალდამცავი ორგანოების მეშვეობით.
2. მასობრივი ღონისძიებების ჩასატარებლად ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობები უსასყიდლოდ დაეთმოს საოლქო საარჩევნო კომისიას.
3. საარჩევნო ღონისძიებების გამართვასთან (წინასაარჩევნო კამპანიის (აგიტაციის) დაკავშირებით განისაზღვროს შენობა-ნაგებობების ნუსხა დანართი №1-ის შესაბამისად.
4. საარჩევნო ღონისძიებების გამართვასთან (არჩევნების მომზადებისა და ჩატარებისათვის) დაკავშირებით განისაზღვროს შენობა-ნაგებობების ნუსხა დანართი №2-ის შესაბამისად.
5. მიეცეს თანხმობა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერს საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ საფუძველზე:
 - ა) გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები და გამოსცეს ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტები;
 - ბ) ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე შენობა-ნაგებობები (მათ შორის არასაცხოვრებელი ფართები) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, აუქციონის გარეშე საუბნო საარჩევნო კომისიების საქმიანობის ვადით გადასცეს №70 ფოთის საოლქო საარჩევნო კომისიას;
 - გ) ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ინვენტარი (მოდრავი ქონება) (№70 ფოთის საოლქო საარჩევნო კომისიის მოთხოვნის შესაბამისად) თხოვების ფორმით, აუქციონის გარეშე უსასყიდლო სარგებლობაში (თუ ამით არ შეფერხდება მუნიციპალიტეტის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობა) საუბნო საარჩევნო კომისიების საქმიანობის ვადით გადასცეს №70 ფოთის საოლქო საარჩევნო კომისიას.

6.საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 93-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, უკანონოდ ჩამოხსნილი, ჩამოხეული, დაფარული ან დაზიანებული საარჩევნო პლაკატების ამ კანონის მე-80 მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმები შეადგინოს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ უფლებამოსილმა - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურისა და ადმინისტრაციული ზედამხედველობის სამსახურის ადმინისტრაციული ზედამხედველობის განყოფილების პროფესიულმა საჯარო მოხელეებმა.

7.საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 58-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საარჩევნო კომისიებისათვის გადაცემული შენობა-ნაგებობების კომუნალური ხარჯები დაიფაროს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

8.ეთხოვოს სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობები და ასევე ინვენტარი (მოძრავი ქონება) (№70 ფოთის საოლქო საარჩევნო კომისიის მოთხოვნის შესაბამისად) საუბნო საარჩევნო კომისიების საქმიანობის ვადით გადასცეს №70 ფოთის საოლქო საარჩევნო კომისიას.

9.დაევალოს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიას საარჩევნო პლაკატების გამოსაფენად სტენდების დამზადების უზრუნველყოფა.

10.ეთხოვოს შსს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს ფოთის საქალაქო სამმართველოს წინასაარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას განკარგულებით გათვალისწინებული წესების დარღვევის ფაქტების აღკვეთა.

11.ეს განკარგულება:

ა) გადაეგზავნოს №70 ფოთის საოლქო საარჩევნო კომისიას და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს;

ბ) განკარგულება გამოიკრას ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში საინფორმაციო დაფაზე (მისამართი: ქალაქი ფოთი, დავით აღმაშენებლის ქუჩა №12) და გამოქვეყნდეს ვებგვერდებზე: www.poti-sakrebulo.ge, www.poticity.ge.

12.ამ განკარგულების მოქმედება გავრცელდეს 2017 წლის 21 ოქტომბრის მუნიციპალიტეტის ორგანოების არჩევნებზე.

13.განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

14.განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი ფოთი, დავით აღმაშენებლის ქუჩა №3).

**საკრებულოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი,
თავმჯდომარის მოადგილე**

აკაკი დარჯანია

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო ღონისძიებების გამართვასთან
(წინასაარჩევნო კამპანიის (აგიტაციის) დაკავშირებული
შენობა-ნაგებობების ნუსხა

1. დავით აღმაშენებლის ქუჩა №12 (მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობა, სხდომათა დარბაზი); (შესაბამისი წინასწარი წერილობითი შეტყობინებით).
2. წმინდა ნინოს ქუჩა №6 – (ბიბლიოთეკა); (შესაბამისი წინასწარი წერილობითი შეტყობინებით).
3. შოთა რუსთაველის რკალი №10 (ფოლკლორის ცენტრის შენობა); (შესაბამისი წინასწარი წერილობითი შეტყობინებით).
4. შოთა რუსთაველის რკალი №28 (თეატრის შენობა); (შესაბამისი წინასწარი წერილობითი შეტყობინებით).
5. საარჩევნო ღონისძიებების გამართვასთან დაკავშირებით ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, აღნიშნულ დანართში მითითებული შენობებისა და სხვა შენობების გამოყენების უფლება აქვს ყველა საარჩევნო სუბიექტს თანაბრად მუნიციპალიტეტისა და ზემოთხსენებულ შენობებში განთავსებული ორგანიზაციებისათვის საქმიანობის შეუფერხებლად, მოქმედი კანონმდებლობის დაცვით (შესაბამისი წინასწარი წერილობითი შეტყობინებით).

საკრებულოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი,
თავმჯდომარის მოადგილე

აკაკი დარჯანია